

პროექტის შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გეგმავს არსებული პლატფორმის 1TV.GE -ის რედიზაინსა და VOD პლატფორმის შექმნას.

ქვემოთ მოცემულია პროექტში შემავალი სამუშაოების აღწერა.

VOD პლატფორმა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მომხმარებელს ლიცენზირებული, მრავალფეროვანი ვიდეოკონტენტის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სთავაზობს ახალ VOD პლატფორმას, რომლის საშუალებითაც დროის ნებისმიერ მონაკვეთში შეძლებენ მათთვის საინტერესო კონტენტის ყურებას თანამედროვე, ხარისხიანი, ინტერაქტიული პროექტის საშუალებით.

პლატფორმა, გარდა იმისა, რომ მარტივი უნდა იყოს მოსახმარად, ადვილი უნდა იყოს სამართავადაც. პანელი უნდა იყოს ეფექტიანი. კონტენტის მწარმოებელს არ უნდა დასჭირდეს ტექნიკური დახმარება ყოველდღიური ოპერაციების შესასრულებლად.

პლატფორმა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის ნაცნობი ინტერფეისით და ამ აუდიტორიისათვის ინტუიტიურად უნდა იყოს აღსაქმელი.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ჩაატარა თვისობრივი კვლევა ჩადრმავებული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის მეთოდით, რომლის მიზანი იყო ახალი VOD პლატფორმის პროტოტიპის შექმნისთვის საბაზისო საკითხების განსაზღვრა.

*კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება ტენდერში გამარჯვებული კომპანიისთვის.

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ნებისმიერმა მაყურებელმა მისთვის სასურველ დროს, სასურველ ადგილას, სასურველი ხელსაწყოთი უყუროს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ შეთავაზებულ ლიცენზირებულ ვიდეოკონტენტს. VOD პლატფორმა მაქსიმალურად იქნება ადაპტირებული შშმ პირთათვის.

სამიზნე აუდიტორია

სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ მომხმარებლები, რომელთაც სურთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სხვადასხვა ტიპის ლიცენზირებული ვიდეოკონტენტის ხილვა მათთვის სასურველ დროს, სასურველი მოწყობილობით.

სამიზნე აუდიტორიის სახასიათო დეტალები:

- ასაკობრივი დიაპაზონი - შეუზღუდავი;
- არცერთ სქესს პრიორიტეტი არ მიენიჭება;
- აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს (მაგ.: Facebook, Instagram და სხვ.) და Vod პლატფორმებს (მაგ.:Netflix, BBC iPlayer და სხვ.);

- ნაკლებად უყურებენ სატელევიზიო არხებს დატვირთული გრაფიკისა თუ სხვა მიზეზების გამო;
- სურთ ერთ სივრცეში უყურონ მათთვის სასურველ კონტენტს.

ვიზუალური იდენტობა

პროექტის ვიზუალური იდენტობა შექმნილია და ხელმისაწვდომი იქნება შემსრულებლისთვის.

გვერდების ჩამონათვალი

პროექტისთვის შექმნილი ვებდიზაინი ადაპტირებული უნდა იყოს სხვადასხვა მოწყობილობებისთვის (Responsive Design), სამუშაო ფაილები (UI Kit) კი უნდა გადაეცეს სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“.

პროექტი ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირთათვის WCAG 2.1 (<https://www.w3.org/TR/WCAG21/>) რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამიტომ საჭირო იქნება დამატებით მათთვის ადაპტირებული ვებდიზაინის შექმნა. მთავარ გვერდზე განთავსებული იქნება Switcher, რომლის გამოყენებითაც შშმ პირები Tabindex-ით აირჩევენ პლატფორმის მათთვის ადაპტირებული ვერსიას.

ქვემოთ მოცემულია სავარაუდო გვერდების ჩამონათვალი და მათი მოკლე აღწერა. პროექტში შემავალი გვერდები ვებ დიზაინის შექმნის პროცესში შესაძლებელია, რომ კიდევ დაზუსტდეს.

მთავარი გვერდი

მთავარი გვერდი იქნება შემდგარი რამდენიმე ბლოკისგან (ჩამოყალიბდება საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეთანხმებით), რომელიც მომხმარებლებს შესთავაზებს სხვადასხვა ლოგიკით წინასწარ გაფილტრულ კონტენტს (მათ აქტივობაზე დაფუძნებულ კონტენტს, განაგრძე ყურება, სერიალის უახლეს ეპიზოდებს და ა.შ.)

პლატფორმის ჰედერში განთავსებული იქნება ვიდეოს კატეგორიების ჩამონათვალი, ძიება, ავტორიზაცია/რეგისტრაციის ღილაკი და უკვე არსებულ ფლეიერზე (player.1tv.ge) გადასამისამართებელი აიქონი ან/და უბრალოდ მენიუ ელემენტი.

ფუტერში მოცემული იქნება პლატფორმაზე არსებული გვერდების ჩამონათვალი, საკონტაქტო ინფორმაცია და სოციალური ქსელების ღილაკები.

ვიდეოს კატეგორიების ჩამონათვალის გვერდი

ვიდეოს კატეგორიების რაოდენობა, დასახელებები და თანმიმდევრულობა შეთანხმებული იქნება საზოგადოებრივ მაუწყებელთან.

კონკრეტული ვიდეოკატეგორიის გვერდზე კონტენტი განლაგებული იქნება სხვადასხვა ლოგიკის მიხედვით (უახლესი, პოპულარული, რადაქტორის რჩევით და ა.შ.).

გვერდზე მომხმარებელს უნდა შეეძლოს კონტენტის შესაბამისი ფილტებით სარგებლობა.

კატეგორიებში შემავალი ვიდეომასალის ქარდები შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

- Thumbnail (Image,gif,Video)
- კონტენტის დასახელება (Title)
- კონტენტის შექმნის/პრემიერის წელი
- შეფასება (IMDB, შიდა შეფასება)
- ტრეილერის ღილაკი (კლიკის შემდეგაც Pop Up-ში უნდა გამოჩნდეს მასალის ტრეილერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- მეტი ინფოს ღილაკი (კლიკის შემდეგაც Pop Up-ში უნდა გამოჩნდეს მასალის მოკლე ტექსტური აღწერა, რომლიდანაც შესაძლებელი უნდა იყოს მომხმარებლის მასალაზე გადამისამართება)

ვიდეოს დეტალური გვერდი

ძირითადი სტრუქტურა მსგავსი იქნება, მაგრამ მცირედი განსხვავებებით კონტენტის მიხედვით (სერიალი, ფილმი, შოუ, გადაცემა და ა.შ.)

საერთო მახასიათებლები:

- Player
- Video Thumbnail
- კონტენტის აღწერა
 - დასახელება
 - განმარტება
 - ჟანრი
 - ფოტო
 - მასალაში მონაწილე, მსახიობი, რეჟისორი, თუ შოუს გუნდი
- მსგავსი კონტენტის შეთავაზება
- Playlist-ში დამატების შესაძლებლობა
- ვიდეოს AutoPlay-ის აიქონი (აქტიური/პასიური)
- მოგვიანებით ყურების არჩევის შესაძლებლობა
- მეგობრებთან ერთად ყურების შესაძლებლობა

- შეფასების გაკეთების შესაძლებლობა
- რევიუს დაწერის შესაძლებლობა (ქვეყნდება მხოლოდ მოდერაციის შემდეგ)
- სოციალურ ქსელში გაზიარების შესაძლებლობა
- გარკვეული კონტენტის ჩვენებისთვის საჭირო იქნება პლატფორმაზე არსებული ასაკის ვერიფიკაციის ფორმის შევსება

დეტალური გვერდის ვარიაციები:

- **ფილმი** - საერთო მახასიათებლები
- **სერიალი** - საერთო მახასიათებლები + სეზონის გადამრთველი
- **შოუ** - საერთო მახასიათებელი
- **მოკლე ვიდეო** - საერთო მახასიათებელი
- **აუდიო** - საერთო მახასიათებელი

ძიების შედეგების გვერდი

ძიების მოდულისთვის გამოყენებული უნდა იყოს **Autocomplete Search**.

საძიებო ველში 2 სიმბოლოს შეყვანისთანავე პლატფორმამ მომხმარებლებს უნდა შესთავაზოს შედეგები, რომლებიც განლაგებული იქნება კონტენტის სახეობის (ფილმი, სერიალი, შოუ, გადაცემა, რეჟისორი, მსახიობი, წამყვანი, გუნდის წევრი) მიხედვით.

ძიების დაწყებამდე, მომხმარებელს ძიების გვერდზე უნდა დახვდეს კონტენტი, რომელიც დაყოფილი იქნება სექციებად (პოპულარული, ახალი დამატებული და ა.შ).

რეჟისორ(ებ)ი, მსახიობ(ებ)ი, წამყვან(ებ)ი, გუნდი

გვერდზე მოცემული იქნება მათი სრული ჩამონათვალი, შესაბამისი ფილტრების საშუალებით კი მომხმარებლები მარტივად ნახავენ მათ სასურველ პერსონას.

რეჟისორ(ებ)ი, მსახიობ(ებ)ი, წამყვან(ებ)ი, გუნდი შედგება შემდეგი ელემენტებისგან

- ფოტო
- სახელი და გვარი (ინგლისურ და ქართულ ენაზე)
- ასაკი
- დაბადების ადგილი (ქვეყანა, ქალაქი)

რეჟისორ(ებ)ი, მსახიობ(ებ)ი, წამყვან(ებ)ი, გუნდის დეტალური გვერდი

ჩამონათვალის გვერდზე შერჩეულ პერსონაზე კლიკის შემდეგ მომხმარებლები გადამისამართდებიან პერსონის დეტალურ გვერდზე, სადაც ნახავენ მათ მოკლე ბიოგრაფიას და იმ მასალის ჩამონათვალს, რომელშიც ისინი მონაწილეობენ.

რეგისტრაცია/ავტორიზაცია

მომხმარებლის იდენტიფიკაცია, შესაძლებელი იქნება რეგისტრაცია/ავტორიზაციის ორი შესაძლებლობით:

- Facebook Login
- Email

რეგისტრაცია/ავტორიზაცია მოიცავს შემდეგ გვერდებსა და შეტყობინებებს:

- რეგისტრაციის გვერდი
- ავტორიზაციის გვერდი
- ელ.ფოსტაზე გასაგზავნი ვერიფიკაციის ფორმა
- პასვორდის აღდგენის გვერდი
- Error შეტყობინებები
- Success შეტყობინება

პირადი სივრცე

პირადი სივრციდან მომხმარებლები შეძლებენ პლატფორმის უფრო მეტად პერსონიზაციას. გამოიწერენ სასურველ კონტენტს, შექმნიან საკუთარ ფლეილისტს, ჩაინიშნავენ და მოგვიანებით ნახავენ სასურველ კონტენტს ზუსტად იმ კადრიდან, სადაც შეწყვიტეს ყურება, ექნებათ ნანახი კონტენტის სრული ისტორია, თუ რას უყურეს და როდის, საჭიროების შემთხვევაში კი შეძლებენ მათ გაზიარებას სოციალური ქსელის მეშვეობით, შეცვლიან ავატარს და პირად მონაცემებს, პლატფორმის პარამეტრებში შეიტანენ ცვლილებას (AutoPlay, Day/Night და ა.შ.)

ბლოგის ჩამონათვალის გვერდი

მოცემული იქნება სტატიების საერთო ჩამონათვალი. მომხმარებლებს ექნებათ შესაძლებლობა, რომ ინფორმაცია კატეგორიების მიხედვით დაფილტრონ.

ბლოგის დეტალური გვერდი

სტატიის დეტალურ გვერდზე იქნება მოცემული ტექსტური/ფოტო/ვიდეო მასალა, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიძლებოდეს Full Width ფოტო/ვიდეო მასალის გამოყენებაც.

მასალის გაზიარება შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა სოციალურ ქსელში.

წესები და პირობები

ტექსტური გვერდი, სადაც მოცემული იქნება პლატფორმის გამოყენების წესები.

პროექტის შესახებ

ტექსტური გვერდი, სადაც მოცემული იქნება პლატფორმის შესახებ ინფორმაცია.

კონტაქტის გვერდი

საკონტაქტო ფორმა და ტელეფონის ნომერი, რომლის საშუალებითაც მომხმარებლები შეძლებენ დაკავშირებას.

404

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი შეეცდება ისეთ ლინკზე შესვლას, რომელიც პლატფორმის ბაზაში არ იქნება ფიქსირებული, მოხვდება გვერდზე, სადაც მითითებული იქნება, რომ მსგავსი მისამართი არ არსებობს.

ტექნიკური მახასიათებლები

პროექტის მიზნიდან გამომდინარე, პლატფორმა მაქსიმალურად ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირთათვის, საჭირო იქნება WCAG 2.1 (<https://www.w3.org/TR/WCAG21/>) რეკომენდაციების გათვალისწინება. პლატფორმაზე ინტეგრირებული უნდა იყოს TTS & STT მოდული.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიქმნება ვებდოზინის ორი ვერსია, ამიტომ საჭირო იქნება ორივე ვერსიის დამოუკიდებელი ტექნიკური იმპლემენტაცია.

1TVPLAY - თან ინტეგრაცია/კომუნიკაცია

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ აქვს შექმნილი VOD მობილური აპლიკაცია 1TVPLAY, რომელთანაც საჭირო იქნება API-ის საფუძველზე ინტეგრაცია და კონკრეტული ვიდეოს გაგზავნა/მიღება სამართავ პანელში.

API-ის შექმნის პროცესში 1TVPLAY-ის გუნდთან კომუნიკაციას „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გუნდი უზრუნველყოფს.

რეგისტრირებული მომხმარებლების შესაძლებლობები

ნებისმიერ რეგისტრირებულ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს პირადი სივრცე, სადაც შეძლებს მისთვის საინტერესო კონტენტის თავმოყრას, ასევე უნდა შეეძლოს პლატფორმის გამორჩეული ფუნქციონალით სარგებლობა.

ქვემოთ ჩამოთვლილია რეგისტრირებული მომხმარებლის შესაძლებლობები:

უყურე მოგვიანებით

მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ მათთვის სასურველი კონტენტი შეინახონ (სურვილის შემთხვევაში, წაშალონ უკვე შენახული კონტენტი) უყურე მოგვიანებით ჩამონათვალში და მათთვის სასურველი დროის მონაკვეთში შეძლონ მისი ნახვა ან/და ყურების გაგრძელება.

თქვენთვის რეკომენდებული

პლატფორმამ უნდა გაანალიზოს მომხმარებლის ნახვების ისტორია და შესთავაზოს მასზე დაფუძნებული ახალი კონტენტის ნახვა.

შედეგები უნდა დაიყოს შემდეგი პრინციპით:

- პლატფორმის რეკომენდაციით (საერთო თანხვედრის და რეიტინგის მიხედვით)
- მსგავსი კონტენტი (ფილმი, შოუ და ა.შ.)
- მონაწილეების (მსახიობი, შოუს გუნდი) მიხედვით
- რეჟისორის/წამყვანის მიხედვით

განაგრძე ყურება

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი შეწყვეტს კონტენტის ყურებას, პლატფორმაზე შემდეგი დაბრუნებისას მთავარ გვერდზე სპეციალურ სექციაში დახვდება იგივე კონტენტი იმ მომენტიდან, რა მომენტშიც შეწყვიტა ყურება. საჭიროების შემთხვევაში მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ჩამონათვალის სიიდან კონტენტის წაშლა.

Watch Together

პლატფორმის მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ მოიწვიონ მისი მეგობარ(ებ)ი სპეციალური ID-ით და ერთად უყურონ მათთვის სასურველ კონტენტს. ასევე local Chat-ის საშუალებით უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ გაუზიარონ ერთმანეთს კომენტარები და მოსაზრებები.

Playlist

როგორც პლატფორმის ადმინისტრატორს, ასევე მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ Playlist-ის შექმა და მისი კორექტირება (დამატება, წაშლა, კონტენტისთვის Playlist-ში ადგილის შეცვლა).

პლატფორმის ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს სხვადასხვა მასალის დაჯგუფება, მისთვის სახელის დარქმევა და გამოქვეყნება.

Subscribe

მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ გამოიწვიონ მათთვის სასურველი კონტენტი, რომელიც გამოქვეყნებისთანავე მათ პირად სივრცეში აისახება.

ნანახი კონტენტის ისტორია

მომხმარებლის მიერ პლატფორმაზე ნანახი კონტენტის სრული ჩამონათვალი, რომელიც მოცემული იქნება პირად სივრცეში.

კონტენტის გაზიარება შესაძლებელი უნდა იყოს სოციალური ქსელების საშუალებით. სურვილის შემთხვევაში მომხმარებელს უნდა შეეძლოს ჩამონათვალში არსებული კონტენტის როგორც ინდივიდუალურად, ასევე სრულად წაშლაც.

პირადი სივრცე

მომხმარებლებს პირად სივრცეში არსებული ინფორმაციის მართვა უნდა შეეძლოთ:

ფუნქციონალი - შესაძლებლობა

- უყურე მოგვიანებით - დამატება/წაშლა
- განაგრძე ყურება - წაშლა
- Playlist - დამატება/წაშლა
- Subscribe – Subscribe/კონკრეტული ვიდეოს წაშლა/Subscribe-ის გაუქმება
- ნანახი კონტენტის ისტორია - წაშლა და სოციალურ ქსელში გაზიარება
- ჩემი ანგარიში - დინამიკური ველების ცვლილება და ანგარიშის გაუქმება

რეგისტრირებული და არა რეგისტრირებული მომხმარებლების საერთო შესაძლებლობები

რეიტინგები

პლატფორმაზე განთავსებულ ნებისმიერ მასალას ექნება შიდა რეიტინგი, ასევე IMDB რეიტინგი, იმ შემთხვევაში, თუ გააჩნია, ამიტომ საჭირო იქნება IMDB-ის სარეიტინგო სისტემასთან სინქრონიზაცია.

კომენტარების სისტემა

მომხმარებლების მიერ დაწერილი კომენტარი გამოქვეყნდება ადმინისტრატორის მოდერაციის შემდეგ.

პრემიერა

პლატფორმაზე შესაძლებელი უნდა იყოს პრემიერის დაგეგმვა და მართვა. პრემიერა შესაძლებელია Live Streaming-ით (პროვაიდერის მიერ მოწოდებული ლინკით) ან/და სტანდარტული ვიდეო, რომელიც კონკრეტული დროიდან იქნება ხელმისაწვდომი.

კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს პრემიერის მხოლოდ რეგისტრირებული მომხმარებლებისთვის ჩვენება.

ამჟამად უყურებენ

მთავარი გვერდის ერთ-ერთი სექცია, სადაც უნდა ჩანდეს ის კონტენტი, რომელსაც იმ დროისთვის პლატფორმაზე უყურებენ სხვა მომხმარებლები.

მსგავსი ვიდეოკონტენტი

მომხმარებლის მიერ შერჩეული ვიდეოკონტენტის მსგავსი ვიდეოკონტენტის შეთავაზება მოხდება თეგების მიხედვით:

- მსგავსი კონტენტი (ფილმი, შოუ და ა.შ.)
- მონაწილეების (მსახიობი, შოუს გუნდი) მიხედვით
- რეჟისორის/წამყვანის მიხედვით

Day & Night Mode

მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ, საკუთარი სურვილის მიხედვით შეცვალონ პლატფორმის ფერი.

Progressive Web App Manifest

პლატფორმის გამოყენება შესაძლებელი იქნება ბრაუზერის გამოყენების გარეშეც, რადგან მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ საკუთარი კომპიუტერის ეკრანზე შეინახონ პლატფორმა Shortcut - ად.

Chromecast

მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ საკუთარი ხელსაწყოდან პლატფორმაზე არსებული ვიდეოკონტენტი Chromecast-ის საშუალებით დაუკავშირონ Smart TV-ს.

Push Notifications

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი დაეთანხმება შეტყობინებების მიღებას, პლატფორმა მას გაუგზავნის სხვადასხვა ტიპის შეტყობინებებს (ახალი ფილმის დამატება, ანონსი და ა.შ.).

რეჟისორ(ებ)ი, მსახიობ(ებ)ი, წამყვანი, გუნდი

კონტენტის სახეობიდან გამომდინარე პლატფორმის ადმინისტრატორებს უნდა შეეძლოთ მასალისთვის რეჟისორ(ებ)ი, მსახიობ(ებ)ი, წამყვანი, გუნდის მინიჭება.

მომხმარებლები მასალაზე მიმაგრებული „რეჟისორ(ებ)ი, მსახიობ(ებ)ი, წამყვანი, გუნდი“-ზე კლიკის შემდეგ გადამისამართდება მათ დეტალურ გვერდზე, სადაც მოცემული იქნება მათი ნამუშევრების სრული ჩამონათვალი.

ასაკობრივი შეზღუდვა

ზოგიერთი კონტენტის ხილვა, ასაკის დამადასტურებელი ფორმის შევსების გარეშე არ უნდა იყოს შესაძლებელი.

ძიების შედეგების გვერდი

ძიების მოდულისთვის გამოყენებული უნდა იყოს **Autocomplete Search**.

- ძიება უნდა დაიწყოს 2 სიმბოლოდან და შედეგები Live რეჟიმში უნდა ჩანდეს.
- საძიებო კონტენტი
 - ფილმი
 - სერიალი
 - შოუ
 - გადაცემა
- ძიების ველები
 - სათაური
 - აღწერა
 - რეჟისორი
 - მსახიობი
 - შოუ
 - გუნდი
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არასწორი სიმბოლოების კომბინაციას შეიყვანს, პლატფორმამ სწორი შედეგის ვარიანტები უნდა შესთავაზოს
- ძიება შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც ქართული, ასევე ლათინური ანბანით. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი საძიებო ველში ქართულ სიტყვას ლათინური სიმბოლოებით შეიყვანს, პლატფორმამ უნდა გამოიტანოს ქართული სიტყვის შესატყვისი შედეგი და პირიქით.

ბლოგი

ჩამონათვალის გვერდი

მოცემული იქნება სტატიების ჩამონათვალი ქარდების სახით და მათი კატეგორიები.

ქარდის სავარაუდო სტრუქტურა

- ფოტო
- სტატიის დასახელება
- გამოქვეყნების დრო

როგორც სტატიები, ასევე მათი კატეგორიებიც უნდა იყოს დინამიკური. სამართავი პანელიდან უნდა იყოს შესაძლებელი მათი დამატება/ცვლილება/წაშლა და თანმიმდევრობის განსაზღვრა.

საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია SEO

პლატფორმის ადმინისტრატორს სამართავი პანელიდან უნდა შეეძლოს საძიებო სისტემებისთვის შემდეგი ინფორმაციის შეყვანა:

- Meta Title
- Alt Text
- Meta Keywords
- Meta Description

პლატფორმას უნდა ჰქონდეს მაქსიმალურად ოპტიმიზირებული URL სტრუქტურა და XML Sitemap და არ უნდა ჰქონდეს საძიებო სისტემებში ინდექსირების პრობლემები.

სამართავი პანელი

პლატფორმის შემადგენელი ელემენტები მაქსიმალურად უნდა იყოს დინამიკური და მათი მართვა სამართავი პანელიდან უნდა იყოს შესაძლებელი. სამართავი პანელის გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა მოწყობილობებიდან (Responsive) .

სამართავი პანელიდან ადმინისტრატორების დამატება და მათი როლების განსაზღვრა (2 დონე) უნდა იყოს შესაძლებელი.

სამართავ პანელში თარიღების მიხედვით უნდა ისახებოდეს და ინახებოდეს ყველა ადმინისტრატორის ქმედებები.

პლატფორმის გვერდების სამართავი პანელის სტრუქტურა და ვიზუალური დეტალები შეთანხმებული უნდა იყოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გუნდთან.

ოპერაციული სისტემები და ბრაუზერები

ბრაუზერები	ვერსია
Chrome	ბოლო ორი ვერსია
Safari	ბოლო ორი ვერსია
Mozilla	ბოლო ორი ვერსია
Edge	ბოლო ორი ვერსია
Opera	ბოლო ორი ვერსია
მობილური ბრაუზერები	ვერსია
IOS	10.2.1 -დან
Android	10.0-დან

სოციალური მედია

პლატფორმაზე არსებული მასალის გაზიარება შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა სოციალური ქსელის საშუალებით.

ადმინისტრატორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ სამართავი პანელიდან მასალას აუტვირთოს ალტერნატიული ფოტო, რომელიც მხოლოდ სოციალურ ქსელში გაზიარებისას გამოჩნდება.

ანალიტიკა & რეპორტირება

პლატფორმაზე აუცილებლად უნდა იყოს ინტეგრირებული სხვადასხვა სახის ანალიტიკური, თუ სოციალური მედიისთვის საჭირო ხელსაწყოები.

- Google Tag Manager
- Facebook pixel
- Facebook conversion

შესრულების ეტაპები და ვადები

პროექტი სრულად უნდა შესრულდეს და ჩაბარდეს სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ----- **კალენდარულ დღეში.**

პროექტის სხვადასხვა ეტაპზე არსებული იტერაციები უნდა დაიგეგმოს და შეთანხმდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გუნდთან.

არსებული დავალების დეტალების დაზუსტება

მოცემულ ეტაპზე მაქსიმალურად დაზუსტდება დავალება, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება ვებდიზაინის შექმნის ეტაპზე გადასვლა.

ვებ დიზაინის შექმნა

- **UX Research** – არსებობს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ ჩატარებული თვისობრივი კვლევა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შემსრულებლისთვის
- **Wireframing** – ძირითადი გვერდების პირველადი მონახაზები
- **UX/UI Design** - პროექტი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს შშმ პირთათვის, ამიტომ საჭირო იქნება ვებ დიზაინის ორი ვერსიის შექმნა

(ადაპტირებული და არა ადაპტირებული). შექმნის პროცესი დაიყოფა რამოდენიმე იტერაციად, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გუნდთან

- **UI Kit** - შეიქმნება UI Kit, რომელიც გადაეცემა სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“

ტექნიკური იმპლემენტაცია

ქვემოთ მოცემული თითოეული ეტაპი უნდა მოიცავდეს შესაბამისი იტერაციების რაოდენობას. იტერაციები უნდა მოიცავდეს ტესტირების დროს.

- პლატფორმის ალფა ვერსია
- პლატფორმის ბეტა ვერსია
- Live

Player

პროექტში გამოყენებული იქნება არსებული HTML Player.

სამართავი პანელიდან მოხდება ფაილის ატვირთვა ვიდეო კონვერტორში, რომელიც დააკონვერტირებს ვიდეოს სასურველ ფორმატში და ხარისხში, პროცესის დასრულების შემდეგ პლატფორმის ადმინისტრატორი Embed კოდს ჩასვამს Player-ს, რომელშიც იქნება მოცემული დაკონვერტირებული ვიდეო.

Server

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ უზრუნველყოფს პროექტისთვის შესაბამისი სერვერული გარემოს გამოყოფას.

პროგრამული ენები

ამოცანიდან გამომდინარე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადაწყვეტილებით, პლატფორმის შესაქმნელად გამოყენებული უნდა იყოს PHP Framework Laravel Back End-ის ნაწილში, ხოლო იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ Server Side Render იქნება საჭირო vue/nuxt.js Front End-ის ნაწილში.

ტექნიკური მხარდაჭერა

პროექტის ითვალისწინებს რეალურ გარემოში გადატანის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელიც მოიცავს:

- პროექტის ჩაბარების შემდეგ, აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრას

- Down time მონიტორინგს
- გამოყენებული პროგრამული ენების ვერსიების განახლებას (საჭიროების შემთხვევაში)

ხარვეზების აღმოფხვრის პროცესში, შემსრულებელი ვალდებულია, ჰქონდეს კომუნიკაცია პრობლემის მოგვარებაში ჩართულ ყველა მხარესთან (სერვერი, 1TVPLAY, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გუნდი).

1TV.GE Redesign

არსებული გამოწვევები

არსებული ვებსაიტი 1TV.GE მისი არსით ძირითად ნაწილში წარმოადგენს საინფორმაციო პორტალს, რის გამოც ნაკლებად არის წარმოჩენილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სხვადასხვა მიმართულების კონტენტი.

1TV.GE-ის მომხმარებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა ნავიგაციის და ვიზუალური ელემენტების გაუმჯობესების მოთხოვნა.

განახლების მიზანი

UI/UX Design-ის განახლების შემდეგ შენარჩუნებული უნდა იყოს საინფორმაციო პორტალი და უფრო მეტად უნდა იყოს წარმოჩენილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სხვადასხვა მიმართულებები კონტენტი.

მომხმარებლებისთვის გამარტივებული უნდა იყოს სასურველი ინფორმაციის მოძიება, ნავიგაციისა თუ ძიების საშუალებით.

სამიზნე აუდიტორია

ონლაინ მედიის მომხმარებლები, რომლებიც სხვადასხვა ინფორმაციას ციფრული წყაროებით ეცნობიან და არსებული ერთგული მომხმარებლები.

UI/UX დიზაინი

პროექტისთვის შექმნილი ვებ დიზაინი ადაპტირებული უნდა იყოს სხვადასხვა მოწყობილობებისთვის (Adaptive Design), სამუშაო ფაილები (UI Kit) კი უნდა გადაეცეს სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“.

პროექტის ვებ დიზაინი ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირთათვის WCAG 2.1 (<https://www.w3.org/TR/WCAG21/>) რეკომენდაციების გათვალისწინებით.

გვერდების ჩამონათვალი

მთავარი გვერდი

მთავარი გვერდზე წარმოჩენილი უნდა იყოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მრავალფეროვანი კონტენტი რამდენიმე სექციის და Side Bar-ების სახით, ასევე შენარჩუნებული უნდა იყოს Infinite Scroll.

გვერდი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- **Header** - გამოყენებული უნდა იყოს სამი ღონის მენიუ
 - **Top Bar**
 - **სოციალური ქსელის აიკონები** - მომხმარებლებს გადაამისამართებენ შესაბამისი სოციალური ქსელის გვერდზე
 - **1TVPLAY-ის ლოგო** - მომხმარებლებს გადაამისამართებს VOD პლატფორმაზე
 - **Live -ის ტაბი** - მომხმარებლებს გადაამისამართებს Live Stream-ზე
 - **ენის ასარჩევი** - მომხმარებელი შეძლებს 7 ენიდან მისთვის სასურველი ენის შერჩევას
 - **Main Menu** - მოცემული იქნება რამდენიმე მენიუს ელემენტი, რომელიც იმუშავებს Mega Menu-ის პრინციპით. Mega Menu-ში შესაძლებელია, რომ ინფორმაცია იყოს 3 ან 4 ღონის
 - **Quick links** - მოცემული იქნება პოპულარული კონტენტის (გადაცემები, გამორჩეული მოვლენა, სპორტული ღონისძიება და ა.შ.) ტაბები
 - **ძიება** - [პლატფორმის საერთო ძიება](#)
- **სექციები**

სექციების რაოდენობა და მათი დასახელებები პირობითია, მათი დასახელება და რაოდენობა დაზუსტდება დიზაინის შექმნის პროცესში.

- **Hero** - მოცემული უნდა იყოს გამორჩეული ინფორმაცია (ინფორმაციის რაოდენობა დიზაინის შექმნის პროცესში დაზუსტდება), რომელთაგან ერთს გამორჩეული ვიზუალი უნდა ჰქონდეს
- **Show** - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში არსებული გადაცემების ვიდეოები (პრომო, ამონარიდი, ანონსი), რომლებიც მოცემული იქნება ვერტიკალური ქარდების სახით და სექცია იქნება სლაიდერი

- **ქარდი**

- Cover Image
- Play Icon
- ვიდეოს დასახელება
- გამოქვეყნების დრო
- ვიდეო ხანგრძლივობა
- ავტორი
- გადაცემის თემა

- **მსოფლიო ამბები** - 5 ჰორიზონტალურად განლაგებული ქარდი, სექცია იქნება სლაიდერი

- **ქარდი**

- Cover Image
- სიახლის დასახელება
- გამოქვეყნების დრო

- **Infinite Scroll** - ჰორიზონტალური ქარდები, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისა

- **ქარდი**

- Cover Image
- სიახლის დასახელება
- გამოქვეყნების დრო

- **Side Bar** - განთავსდება პორტალის მთავარი და სხვადასხვა გვერდების დიზაინის მარჯვენა სივრცეში, სადაც მოცემული იქნება უახლესი ამბები, ამინდი, ვალუტა,

რედაქტორის სვეტი, Live ვიდეო, პოპულარული ვიდეო და ა.შ. მაგალითისთვის განმარტებულია რამდენიმე Side Bar-ის ელემენტები

- **Live ვიდეო** - სოციალური ან და Live Stream-დან არსებული ერთი ან რამდენიმე Live
 - დასახელება
 - Frame - სადაც Live გამოჩნდება
- **პოპულარული ვიდეოები**
 - დასახელება
 - Cover ფოტო
 - Play Icon
 - გამოქვეყნების დრო
- **უახლესი ამბები** - Side Bar-ში უნდა შეიძლებოდეს სქროლი, რადგან ინფორმაცია, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახლდება, ამ საიდ ბარში იყრის თავს
 - გამოქვეყნების დრო
 - სიახლის დასახელება

სიახლის გვერდი

მოცემული იქნება სხვადასხვა სახის სიახლეები, რომელიც დაჯგუფებული იქნება სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, ხოლო სიახლის მთავარ გვერდზე მოცემული იქნება ყველაზე აქტუალური ინფორმაცია.

სიახლეები მთავარი გვერდი

- **Hero სექცია** - საჭირო იქნება 3 და 5 სიახლისგან შემდგარი სექციის შექმნა, რომელიც არ იქნება სლაიდერი
- **შიდა მენიუ** - კატეგორიების ჩამონათვალი (3 დონე)
- **სექციები** - 5 ჰორიზონტალურად განლაგებული ქარდი, სექცია იქნება სლაიდერი (სექციების რაოდენობა დიზაინის შექმნის პროცესში დაზუსტდება)

- **Side Bar** - განთავსდება პორტალის მთავარი და სხვადასხვა გვერდების დიზაინის მარჯვენა სივრცეში, სადაც მოცემული იქნება უახლესი ამბები, ამინდი, ვალუტა, რედაქტორის სვეტი, Live ვიდეო, პოპულარული ვიდეო და ა.შ.
- **ძიება** - [სექციის/გვერდის შიდა ძიება](#)
- **Live Update** - სიახლის გვერდი, რომელიც კონკრეტულ ამბავს მიეძღვნება და მუდმივად განახლდება, მომხმარებელი კი გვერდზე შესვლით ქრონოლოგიურად ნახავს ამბავის თანმიმდევრობას
- **Infinite Scroll** - ჰორიზონტალური ქარდები, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისა
 - **ქარდი**
 - Cover Image
 - სიახლის დასახელება
 - გამოქვეყნების დრო

სიახლეების კატეგორიების ჩამონათვლის გვერდი

თითოეულ კატეგორიას ექნება ჩამონათვლის გვერდი, რომელიც იქნება Infinte Scroll და ექნება Side Bar

- **Infinite Scroll** - ჰორიზონტალური ქარდები, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისა
 - **ქარდი**
 - Cover Image
 - სიახლის დასახელება
 - გამოქვეყნების დრო
- **Side Bar** - განთავსდება პორტალის მთავარი და სხვადასხვა გვერდების დიზაინის მარჯვენა სივრცეში, სადაც მოცემული იქნება უახლესი ამბები, ამინდი, ვალუტა, რედაქტორის სვეტი, Live ვიდეო, პოპულარული ვიდეო და ა.შ.

სიახლის დეტალური გვერდი

მომხმარებელმა კომფორტულად უნდა შეძლოს ინფორმაციის დეტალურად გაცნობა და დაინტერესების შემთხვევაში მსგავსი სიახლეების ნახვა.

სიახლის დეტალურ გვერდის შემადგენელი ელემენტები

- Breadcrumbs
 - სიახლის გამოქვეყნების დრო
 - სიახლის ავტორი
 - Cover Image/Video
 - დასახელება
 - სიახლის ტექსტი
 - ტექსტში ჩასმული სიახლის მსგავსი სიახლე
 - ტექსტში ჩასმული ფოტო/ვიდეო მასალა
 - ტექსტში ჩასმული ფოტო გალერეა
 - ტექსტში ჩასმული Embed მასალები სხვადასხვა სოციალური ქსელიდან
 - გამორჩეული გამონათქვამი
 - აუდიო სიახლე - სიახლის აუდიო ვერსია
 - სიახლის ნახვების რაოდენობა
 - მსგავსი სიახლეები
 - თეგები
 - სოციალური ქსელების ლილაკები გაზიარებისთვის
 - სიახლის ფავორიტებში დამატების ლილაკი
 - სიახლის ჩანიშვნის (მოგვიანებით წაკითხვა) ლილაკი
-
- **Storytelling** - გამორჩეულად მოსაყოლი ამბავებისთვის საჭირო იქნება 3 (სამი) ტიპის თემფლეიტის შექმნა, რომელთა შემადგენელი ელემენტები იქნება:
 - Full width cover image
 - ამბავის დასახელება

- ამბავის აღწერა
- ამბავის გამორჩეული გამონათქვამი
- ტექსტური მასალა
- ტექსტურ მასალაში მოცემული ფოტო/ვიდეო მასალა
- ტექსტურ მასალაში ჩასმული Embed მასალები სხვადასხვა სოციალური ქსელიდან
- ტექსტურ მასალაში ჩასმული ფოტოგალერეა
- სოციალური ქსელის ღილაკები, მათი გაზიარებისთვის

სპორტის სექცია

გვერდზე მოცემული იქნება სპორტის სხვადასხვა სახეობების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც დაჯგუფდება კატეგორიების (3 ღონე) მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია სპორტის სექციის შემადგენელი გვერდები და მათი ელემენტები

- **სპორტის მთავარი გვერდი** - დაყოფილი უნდა იყოს რამდენიმე სექციად და ჰქონდეს Side Bar
 - **Hero სექცია** - [სიახლის Hero სექციის მსგავსი](#)
 - **შიდა მენიუ** - კატეგორიების ჩამონათვალი (3 ღონე)
 - **სექცია** - ჰორიზონტალურად განლაგებული ქარდები (ხუთი ქარდი). თითოეულ სექციაში მომხმარებელს უნდა შეეძლოს მომდევნო სიახლეების ნახვა სლაიდერის გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში გადავიდეს სრული ჩამონათვალის გვერდზე
 - **ქარდი**
 - **ფოტო**
 - ზოგიერთ ფოტოს უნდა ჰქონდეს ანონსის ვიზუალი, რისთვისაც საჭირო იქნება მისი შექმნა. სურათის ქვედა ნაწილში მოცემული უნდა იყოს ორი გუნდის ლოგო, მატჩის დაწყების დრო და სასტარტო ანგარიში 0-0
 - დასახელება
 - გამოქვეყნების თარიღი

- **Side Bar** - სხვადასხვა (პოპულარული ვიდეოები, უახლესი ამბები, ა.შ.) ტიპის Side Bar, რომელიც დიზაინის მთლიანი სივრცის მარჯვენა ნაწილში იქნება მოქცეული. შესაძლებელი უნდა იყოს, რომ რამდენიმე ელემენტს Side Bar-ში ჰქონდეს ორი ტაბი, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი შეცვლის ინფორმაციას. მაგალითად, უახლესი და პოპულარული ვიდეო.
- **ძიება** - [სექციის/გვერდის შიდა ძიება](#)
- **სპორტის კატეგორიის ჩამონათვალის გვერდი** - [სიახლეების კატეგორიების მსგავსი გვერდი](#)
- **სპორტული სიახლის დეტალური გვერდი** - [სიახლის დეტალური გვერდის მსგავსი](#)

არხის გვერდი

ყველა არხს ექნება ინდივიდუალური გვერდი, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია მათ შესახებ, გადაცემების ჩამონათვალი, სამაუწყებლო განრიგი, გუნდი და ა.შ.

ქვემოთ მოცემულია გვერდების ჩამონათვალი და მათი შემადგენელი ელემენტები

- **მთავარი გვერდი**
 - Cover Image/Video/Live Video
 - მენიუ ელემენტები (ჩვენ შესახებ, გადაცემები, გუნდი)
 - სოციალური ქსელის აიქონები
 - ძიება - [სექციის/გვერდის შიდა ძიება](#)
- **ჩვენ შესახებ**
